

წარმოადგენს ძირითადი სამუშაოსათვის მიღებულ გასამრჯელოს.

დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების საერთო თანხა განისაზღვრება შეჯამებულად საავადმყოფო ფურცელში მითითებულ თვეში (ყველა თვეზე ცალ-ცალკე) საშუალო დღიური ხელფასის (თანამდებობრივი სარგოს (შრომის ანაზღაურების) გამრავლებით მოცემულ თვეში შრომისუნარობის გამო გაცდენილ სამუშაო დღეთა რიცხვზე. საშუალო დღიური ხელფასის გამოთვლა ხდება საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების გაყოფით შრომისუნარობის თვის სამუშაო დღეთა რიცხვზე.

საყურადღებოა, რომ ერთდროულად რამდენიმე დამსაქმებელთან მუშაობის შემთხვევაში დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარება გაიცემა ყველა დამსაქმებელთან ცალ-ცალკე.

დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარების მისაღებად დამსაქმებელი/მოსამსახურე წარუდგენს დამსაქმებელს/დაწესებულებას დროებითი შრომისუნარობის დამადასტურებელ საბუთს (საავადმყოფო ფურცელს). დამსაქმებელი/დაწესებულება ვალდებულია საავადმყოფო ფურცლის წარდგენიდან 10 დღის განმავლობაში ან აანაზღაუროს დროებითი

შრომისუნარობის გამო დახმარება ან წერილობითი შეტყობინება გაუგზავნოს დასაქმებულს/მოსამსახურეს – რატომ ეუბნება უარს დახმარების გაცემაზე.

მაგალითად: რა შემთხვევაში არ გაიცემა დახმარება დროებითი შრომისუნარობის გამო (უფრო კონკრეტულად, არის თუ არა დაწესებული გარკვეული ვადა ბიულეტენის წარდგენისათვის)?

– დროებითი შრომისუნარობის გამო დახმარება არ გაიცემა დამსაქმებლისათვის/დაწესებულებისათვის დროებითი შრომისუნარობის დამადასტურებელი საბუთის (საავადმყოფო ფურცლის) მისი დახურვიდან 3 თვის შემდეგ წარდგენის შემთხვევაში.

წარმოდგენილ სტატიაში შევეცადეთ სრულყოფილად განგვემარტა ყველა ის საკითხი, რომელიც როგორც ორსულობის, მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილად აყვანის გამო შევებული დანიშნა-გაცემას, ისე ნებისმიერი დასაქმებულის/მოსამსახურის საავადმყოფო ფურცლის ანაზღაურებას ეხება. იმ შემთხვევაში, თუ შეკითხვები დაგებადბათ, მოგვწერეთ რედაქციაში და მათზე პასუხებს ჟურნალის შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

ირინე ღლონტი

საქართველოს საბანკო სისტემა

საქართველოს საბანკო სისტემა – ამ რუბრიკით ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე შექდება საქართველოში მოქმედი ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა, ის სიანგეები, მიღწევები და პრობლემები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საბანკო-საფინანსო სფეროში ხდება.

რუბრიკას უძღვება „ააფი“-ს სარედაქციო კოლეგიის წევრი, ჟურნალისტი დალი ჩიკვაიძე.

რამ გამოიწვია ერთდროულად ლარის გამყარება და ინფლაცია?

დღეს საქართველოში, ცოტა არ იყოს, უცნაური სიტუაციაა: ერთი მხრივ, ქვეყანაში ინფლაცია გრძელდება, მეორე მხრივ კი ლარი აშშ დოლართან მიმართებაში კი არ სუსტდება, არამედ მყარდება. ამავდროულად, საუბრობენ საქართველოში ეროვნული ბანკის გაუქმებაზე. იმის გასარკვევად, თუ რამ გამოიწვია ასეთი მდგომარეობა, ჩვენ რამდენიმე შეკითხვით საქართველოს პარლამენტის წევრს, პროფესორ ლადო პაპავას მივმართეთ (ლადო პაპავასთან ვრცელი ინტერვიუ სრული სახით გამოქვეყნდა „ბიზნესი და მენეჯმენტის“ №3(15) ნომერში).

– ბატონო ლადო, თქვენი აზრით, ქვეყანაში არსებული მაღალი ინფლაცია ვისი მიზეზითაა განპირობებული? ალბათ, გარკვეული ხარვეზები ეროვნული ბანკის მუშაობაშიც არის და მთავრობისაშიც, მაგრამ რომლის წილია უფრო მეტი?

– დავიწყეთ იმით, რომ მე ნამდვილად არ ვიცი, ქვეყანაში ინფლაცია რამდენია. მართალია, მას აცხადებენ, მაგრამ სიცრუეა, რასაც აცხადებენ! რა ინფორმაციაც მაქვს, წინასწარი გათვლებით წელს აგვისტოში გასული წლის დეკემბერთან შედარებით, ხელოვნურად შემცირებული მაჩვენებლით, ინფლაცია დაფიქსირდა 11,3% (თავს ვერ დავებ, რომ ზუსტად ასე იყო), მაგრამ ოფიციალურად გამოქვეყნდა 4,7%.

– ვის ატყუებენ ამ ინფორმაციით?

– საკუთარ თავს, იმიტომ რომ ხალხი არ ტყუვდება! ხალხმა თავის ჯიბეზე იგრძნო, როგორ გაძვირდა ცხოვრება. ყველაზე დიდი შეცდომა, რაც ხელისუფლებამ სახელმწიფო უწყებებთან მიმართებაში დაუშვა, იყო ის, რაც მან სტატისტიკის დეპარტამენტის მიმართ გააკეთა. ჯერ იყო და, რეკოლუციის შემდეგ სტატისტიკის

დეპარტამენტი ეკონომიკის სამინისტროს შემადგენლობაში შეიყვანეს, რითაც სტატისტიკის დეპარტამენტმა სრულად დაკარგა დამოუკიდებლობა. მთავრობაში სტატისტიკის ყოფნა არის ინტერესთა კონფლიქტი, იმიტომ რომ მთავრობა უნდა იმუშავებდეს პოლიტიკას, ახორციელებდეს მას, ხოლო სტატისტიკა უნდა იყოს სარკე, თუ რა გააკეთა მთავრობამ. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი მთავრობას დაექვემდებარა, 2006 წლის აგვისტოში მან მაინც გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ წლიური ინფლაცია იყო 14,5%. ამას მოყვა სავალუტო ფონდიდან კრიტიკა, რომლის შედეგად სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი შეცვალეს და დანიშნეს ფინანსთა სამინისტროს ერთ-ერთი თანამშრომელი. ამის მერე საქართველოში ინფლაციის დონემ კლება დაიწყო და წლიური ინფლაცია დეკემბერში 8,8% იყო. ანუ მთავრობის ხელთ არის „ბრწყინვალე“ ინსტრუმენტი, როგორ შეიძლება ინფლაციის დონე შემცირდეს სტატისტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარის შეცვლით, ან მისთვის თითის დაქნევით.

ამდენად, დღევანდელ საქართველოში სტატისტიკა ჰგავს საბჭოთა კავშირის დროინდელ სტატისტიკას, როდესაც, კომუნისტური იდეოლოგიიდან გამომდინარე, უნდა ეჩვენებინათ, თითქოს ყველა სტატისტიკური მაჩვენებელი უმჯობესდებოდა და ცხოვრება საამური იყო. ზუსტად ასევე, მთავრობა დღეს არეგულირებს სტატისტიკურ ინფორმაციებს და უჩვენებს, რომ სულ უფრო უკეთესობა და უკეთესობაა და ნაკლებად აღელვებს, მართლა არის თუ არა ეს უკეთესობა. არადა, უკეთესობა ძალიან ბევრ სფეროშია და მთავრობას სულაც არ სჭირდება ზედმეტად საკუთარი თავისა და რაც მთავარია, ხალხის მოტყუება სტატისტიკური ინფორმაციით.

რაც შეეხება მაღალი ინფლაციის მიზეზს, ეს ასე მარტივი საპასუხო არ არის. აქ ჩვენ ვდგავართ ერთი ძალიან რთული პრობლემის წინაშე, საქართველო დაავადებულია „ჰოლანდიური დაავადებით“. ცოტა გასაგები რომ იყოს მკითხველისთვის, ორიოდე სიტყვით ავხსნი, რა არის „ჰოლანდიური დაავადება“.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც ჩრდილოეთის ზღვაში გაზი აღმოაჩინეს და ჰოლანდია გაზის მფლობელი გახდა, ამ ქვეყანამ გაზის ექსპორტი დაიწყო, რამაც გამოიწვია ის, რომ გაზის ექსპორტის შედეგად საკმაოდ დიდი უცხოური ვალუტა შემოდიოდა ქვეყანაში და უცხოური ვალუტა ადგილობრივ ვალუტასთან მიმართებაში გაუფასურდა, ადგილობრივი ვალუტა გამყარდა. საერთოდ, ადგილობრივი ვალუტის გამყარება უარყოფით ზეგავლენას ახდენს ექსპორტზე და მოხდა ასეთი რამ: ჰოლანდიას ჰქონდა კარგი საექსპორტო პოტენციალი გაზში, მაგრამ გაზის ექსპორტმა გამოიწვია ის, რომ ეროვნული ვალუტა გამყარდა და ეროვნული ვალუტის გამყარებამ კი ის გამოიწვია, რომ გაზის გარდა სხვა საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, უბრალოდ, შემცირდა.

ამავდროულად უნდა ვიცოდეთ, რომ ეროვნული ვალუტის გამყარება ხელსაყრელი არის იმპორტისათვის, რადგან იმპორტი იაფდება. პრაქტიკულად, „ჰოლანდიური დაავადება“ – ეს არის დაავადება, რომელიც გამოწვეულია ამა თუ იმ მიზეზის გამო დიდი ოდენობით ვალუტის შემოდინებით, რომელიც საბოლოო ჯამში იწვევს ექსპორტის შეზღუდვას, იმპორტის ხელშეწყობას. ეს კი ეროვნულ ეკონომიკასთან მიმართებაში საკმაოდ უარყოფითი მოვლენაა.

შემდეგ აღმოჩნდა, რომ „ჰოლანდიური დაავადება“ ჩამოყალიბდა ძირითადად იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც გაზისა და ნავთობის ექსპორტს ახორციელებენ. მოგვიანებით გაირკვა, რომ თურმე მნიშვნელობა არა აქვს, გაზისა და ნავთობის ექსპორტს ახორციელებ, თუ, ვთქვათ, ყავის ექსპორტს. „ჰოლანდიური დაავადება“, მაგალითად, ბრაზილიაში გამოიწვია ყავის ექსპორტმა, ხოლო ეგვიპტეში – ტურისტების შესვლამ, იმიტომ რომ დიდი ოდენობით შეჰქონდათ უცხოური ვალუტა.

- რა არის საქართველოში „ჰოლანდიური დაავადების“ მიზეზი?

– პირველი ის, რომ რევილუციის შემდეგ, როდესაც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, მოგესხნებათ, ყოფილ ჩინოვნიკებს აიძულებდნენ, რომ თავისუფლების ფასად მთავრობისათვის დაებრუნებინათ გარკვეული ქონება; მათ დანაზოგები დოლარებში ჰქონდათ, მაგრამ დოლარებს ხომ ვერ დაუბრუნებდნენ, ოფიციალურად უნდა დაებრუნებინათ ლარი და ამიტომ ეს ლარი უნდა ეყიდათ ბაზარზე; ანუ გაჩნდა დამატებითი მოთხოვნა ლარზე.

მორე ის, რომ მთავრობამ საბაჟოებზე წესრიგის დამყარება დაიწყო; საზღვრის გადაკვეთისას იმპორტიორებს გადასახადების გადანდა უხდებოდათ, ხოლო დანაზოგი მათ მხოლოდ დოლარებში ჰქონდათ და კვლავ უწევდათ გადახურდავება; ანუ გაიზარდა მოთხოვნა ლარზე.

ამას დაემატა ჩვენი თანამემამულეების გადმორიცხვები (საინტერესო სტატისტიკაა: 2006 წელს, 2000 წელთან შედარებით, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების მიერ მხოლოდ საბანკო არხებით გადმორიცხული თანხები 5-ჯერ გაიზარდა; არასაბანკო არხებით რა ხდება, ეს ინფორმაცია არ არსებობს და ამის თქმა შეუძლებელია). ბუნებრივია, თავიანთი ახლობლებისთვის ისინი ფულს აგზავნიან უცხოურ ვალუტაში, ხოლო ახლობლებს სჭირდებათ ლარი, ამიტომ ესეც უნდა გადახურდავდეს.

შემდეგი მიზეზია პრივატიზაცია, უცხოური კომპანიების, ფირმების შემოსვლა, რომლებიც ასევე შემოდიან დოლარებით, მაგრამ მთავრობისგან ობიექტები უნდა იყიდონ ლარებში.

აი, ეს ყველაფერი არის მიზეზი იმისა, რომ საქართველოში დიდი ოდენობით უცხოურმა ვალუტამ დაიწყო შემოსვლა. დიდი ოდენობით როცა შემოდის

უცხოური ვალუტა, ეს იწვევს ეროვნული ვალუტის გამყარებას და მართლაც, ჩვენ გვახსოვს, როგორ დაიწყო ეს პროცესი რეკოლუციის პერიოდში: 1 დოლარი იყო 2,15 ლარამდე იყო; დღეს უკვე გვაქვს 1:1,65-ზე ნაკლები; ანუ ლარი დაახლოებით, 50 თეთრითაა გამყარებული.

- რის გაკეთება ევალებოდათ ეროვნულ ბანკს და მთავრობას?

- რა გადაწყვეტილება უნდა მიეღო ეროვნულ ბანკს გაცვლითი კურსის სტაბილურობის მისაღწევად? ეროვნულმა ბანკმა დაიწყო შემოსული დოლარების შესყიდვა, რათა ლარი კიდევ უფრო მეტად არ გამყარებულიყო. მაგრამ ეროვნული ბანკი დოლარებს ყიდულობს ლარის გაყიდვის საფუძველზე, ხოლო ლარს რომ ყიდის, ამით ლარის მიწოდებას ზრდის და ხელს უწყობს ინფლაციას. ასეთ დროს ინფლაციის ზრდა მაღალი რომ არ იყოს, დიდი როლი ეკისრება მთავრობას. მთავრობას უნდა ჰქონდეს არა დეფიციტური, არამედ პროფიციტური ბიუჯეტი, ანუ მთავრობამ გადასახადები უნდა ამოიღოს მეტი, ვიდრე ექნება ხარჯები, ხოლო ეს ნამეტი არ დახარჯოს; შექმნას სტაბილიზაციის დროებითი ფონდი, დააგროვოს იქ თანხები და ამ შემთხვევაში ინფლაცია მაღალი არ იქნება.

- რეალურად რა გაკეთდა?

- რადგანაც „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში ჩაწერილია, რომ მთავარი ინსტიტუტი, ვინც პასუხისმგებელია ინფლაციასა და გაცვლით კურსზე, არის ეროვნული ბანკი, ამიტომ ინფლაცია დაბრალდა ეროვნულ ბანკს. ეროვნული ბანკი აღმოჩნდა „ჭრელო პეპელას“ როლში, რომელიც „არც უნდა გაფრინდეს და არც უნდა მოფრინდეს“. არ დაიწყებდა დოლარების შესყიდვას, მაშინ ლარი კიდევ უფრო მეტად გამყარდებოდა, არც რეზერვები გაიზრდებოდა; დაიწყო შესყიდვა და, ინფლაცია დაჩქარდა.

როგორც კი ინფლაცია წავიდა, მთავრობა უნდა გადასულიყო პროფიციტურ ბიუჯეტზე; მთავრობამ კი ეს არ გააკეთა, იმიტომ რომ მთავრობას მადა აქვს დიდი (მე მესმის რატომაც და ამას ირონიით ნამდვილად არ ვამბობ), უნდა, რომ ძალიან ბევრი პროექტი (მათ შორის, მცდარებიც) განახორციელოს. ამიტომ გამოვიდა ის, რომ მთავრობამ ხელი შეუწყო ინფლაციის გაზრდას.

მთავრობის ხარჯები, რომლებიც არის არამწარმოებლური, ხელს უწყობს ინფლაციის გაზრდას. მაგალითად, გზის მშენებლობა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, აუცილებელია და ეკონომიკა ვერ განვითარდება გზის აშენების გარეშე, მაგრამ აშენებულ გზას ეკონომიკაში რეალური ეფექტი მოაქვს აშენებიდან 2-3 წელიწადში, როცა იქ მოძრაობა დაიწყება; ხოლო მშენებლობის პროცესში და მანამ, სანამ გზა დასრულებული არ არის, ეს მხოლოდ ხარჯია, რომელიც თავისი ბუნებით ინფლაციურია. შადრევნების მშენებლობა

და ფუნქციონირება საერთოდ არამწარმოებლური ხარჯებია. მთავრობას აბსოლუტურად მცდარი პროექტებიც ჰქონდა, მაგალითად, შარშანდელი ე.წ. „დასაქმების პროგრამა“, რომლითაც 150-150 ლარი დაურიგდათ უმუშევრებს, რომ 3 თვით ვითომდა დასაქმებულიყვნენ კერძო სტრუქტურაში. სინამდვილეში ამ ხალხს მოჰქონდა ცნობები კერძო სტრუქტურებიდან, იმიტომ რომ თუ კერძო სტრუქტურას გაფართოების სურვილი აქვს, ამის რესურსიც უნდა ჰქონდეს და 3 თვის განმავლობაში მიცემული 150 ლარით არაფერს ცვლის თავის ბიზნეს-გეგმაში. ასე რომ, შარშან შემოდგომაზე მთავრობამ 22,5 მლნ ლარი უბრალოდ გადაყარა. გადაყარა იმ თვალსაზრისით, რომ თითქმის არავინ დასაქმებულა, თორემ უმუშევრებმა 450 ლარი მიიღეს 3 თვის განმავლობაში. მაგრამ ეს ფული წავიდა სამომხმარებლო ბაზარზე და ხელი შეუწყო მხოლოდ და მხოლოდ ინფლაციას.

ასე რომ, მთავრობას არა მარტო პროფიციტური ბიუჯეტი სჭირდება, არამედ სჭირდება ისიც, რომ თავის ხარჯებში დატოვოს მხოლოდ მნიშვნელოვანი ხარჯები (მაგალითად, გზების მშენებლობა, იმიტომ რომ გზების მშენებლობა საბოლოო ჯამში ეკონომიკას, ქვეყანას განავითარებს) და ცოტა თავი შეიკავოს ისეთი უაზრო ხარჯებისგან, როგორიც არის სტუდენტებისთვის ფულის „ჩუქება“ ვითომდა მათი დასაქმებისათვის, უმუშევრებისათვის ფულის „ჩუქება“ ვითომდა მათი დასაქმებისათვის და რა თქმა უნდა, შადრევანომანიისაგანაც.

ჩემი აზრით, პირობითად შეიძლება ასეთი შეფასება გავაკეთოთ, რომ მაღალი ინფლაცია დაახლოებით 60%-ით განპირობებულია „ჰოლანდიური დაავადებით“, 10%-ით ეროვნული ბანკის და 30%-ით საქართველოს მთავრობის მიზეზით.

- არის თუ არა მაღალი ინფლაციიდან გამოსავალი სავალუტო საბჭოს შექმნა, რომლის შესახებაც საზოგადოებას ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს?

- რადგანაც თქვენც ხაზი გაუსვით, რომ საზოგადოებას ამაზე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, მოდით, ჯერ განვიხილოთ, თვითონ სავალუტო საბჭო რას ნიშნავს. მაგრამ თავიდანვე შევთანხმდეთ ტერმინზე Currency Board, რომელიც ინგლისური ტერმინია და სხვადასხვანაირად ითარგმნება. ზოგი თარგმნის როგორც „სავალუტო საბჭოს“, ზოგი კი როგორც „სავალუტო ფარს“. მე მიმაჩნია, რომ თავისი არსით უფრო ზუსტია ვინმაროთ „სავალუტო ფარი“ და არა „სავალუტო საბჭო“.

„სავალუტო ფარი“ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული ვალუტა ფიქსირებული კურსით მიეზღება უცხოურ კონვერტირებად ვალუტას; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთავრობამ წინასწარ უნდა დაადგინოს რაღაც გაცვლითი კურსი ეროვნული ვალუტისა რომელიმე უცხოურ კონვერტირებად ვალუტასთან და ყოველთვის ამ

ფიქსირებული კურსით უნდა ხდებოდეს ქვეყანაში შემოსული უცხოური ვალუტის გადაცვლა ეროვნულ ვალუტაზე. როგორც წესი, ეს მექანიზმი გამოიყენება იმისათვის, რათა შიდა მწარმოებლებს ბიზნესის წარმოებისათვის ჰქონდეთ ძალიან მკაფიო სიგნალი, რომ თუ ისინი გადიან ექსპორტზე ან მუშაობენ იმპორტზე, ვალუტასთან მიმართებაში არაფერს არ კარგავენ და არაფერს არ იგებენ, ანუ ვითარება არის სტაბილური.

- მაგრამ უცხო ქვეყნის ვალუტაზე მიბმა ნიშნავს თუ არა საკუთარ ვალუტაზე უარის თქმას?

- ეს ნიშნავს საკუთარ ვალუტაზე ნაწილობრივად უარის თქმას; შემდეგი ნაბიჯი არის საკუთარი ვალუტის ნაცვლად რომელიმე ქვეყნის უცხოური ვალუტის შემოღება, რომელიც ცნობილია „სრული დოლარიზაციის“ ტერმინით (იმიტომ კი არა, რომ მაინცდამაინც დოლარი უნდა იყოს! როცა რომელიმე ქვეყნის ვალუტა ამოიღება და სხვა ქვეყნის ვალუტა შემოდის, ამ პროცესს „სრული დოლარიზაცია“ ჰქვია). მაშასადამე, „სავალუტო ფარი“ უკვე ნიშნავს შენს ვალუტაზე ნაწილობრივ უარის თქმას; რატომ, იცით? როდესაც ასეთი ფიქსირებული ბმული კურსია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარების საკითხი აღარ დგება. შეუძლებელია! სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეროვნული ბანკის ადგილს იკავებს ერთი დიდი ვალუტის გადამცვლელი ჯიხური, რომელსაც მთავრობა წინასწარ უდგენს გაცვლით კურსს და ამ გაცვლითი კურსით ხდება ნებისმიერი შემოსული ვალუტის გადახურდავება.

- კურსის დადგენა ერთჯერადია?

- ერთჯერადი დადგენა იქნება გრძელვადიანი პერიოდისათვის. ეს ნიშნავს, რომ კურსში ცვლილება არ იქნება, მაგრამ მექანიზმი არის ასეთი: თუ შემოდის უცხოური ვალუტა, ის მყისიერად უნდა გადახურდავდეს ამ დადგენილი კურსით ეროვნულ ვალუტაში და პრაქტიკულად ნიშნავს იმას, რომ თუ დიდი ოდენობით შემოდის უცხოური ვალუტა, შესაბამისად დიდი ოდენობით ხდება მიმოქცევაში ადგილობრივი ვალუტის გაშვებაც, რადგანაც ფიქსირებული კურსით მოხდება გადახურდავება.

- რაც თავისთავად ხელს შეუწყობს ინფლაციას...

- ბუნებრივია, ეს ხელს შეუწყობს ინფლაციის გაღრმავებას. მაგრამ ამისათვის „სავალუტო ფარის“ პირობებში გამოიყენება შემდეგი მექანიზმი, რომ რადგანაც ეს ხელს შეუწყობს ინფლაციის გაღრმავებას, ამიტომ უკვე ინფლაციის მარეგულირებელი ორგანო ხდება მხოლოდ მთავრობა, ეროვნული ბანკი კი უკვე აღარ არსებობს.

- მხოლოდ ფორმალურად არსებობს, თუ ურთიდაუღადაც აღარ არსებობს?

- ეროვნული ბანკი აღარ იარსებებს! იქნება „სავალუტო ფარის“ მექანიზმის განმახორციელებელი ორგანო, დიდი გადამცვლელი ჯიხური, ინფლაციური პროცესები გადადის მთავრობაზე და მთავრობას რჩება ერთადერთი გზა – ბიუჯეტი ჰქონდეს პროფიციტური, ანუ საგადასახადო შემოსავლები ჰქონდეს მეტი, ვიდრე ხარჯები, რითაც უნდა უზრუნველყოს მიმოქცევაში გაშვებული ჭარბი ფულის ამოღება ბრუნვიდან და ინფლაციის მოთოკვა.

გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ქვეყანას ჰქონდეს დიდი ოდენობით უცხოური ვალუტის რეზერვები, რომელსაც ეს ქვეყანა მიემბება, რადგან უცხოური ვალუტის შემოდინება რაღაც მიზეზის გამო უცებ რომ შეჩერდეს, ფიქსირებული გაცვლითი კურსის შენარჩუნებისათვის ორგანო, რომელიც „სავალუტო ფარის“ პრინციპით იმოქმედებს, იძულებული გახდება გაყიდოს რეზერვები, რათა კურსი შეინარჩუნოს.

- ანუ იმ ვალუტის რეზერვი, რომელზეც ღარი იქნება მიბმული, იმდენი მაინც უნდა იყოს, რამდენიც ღარი იტრიალებს?

- იმდენიც და იმაზე მეტიც უნდა იყოს რეზერვში, რათა ვალუტის მცირე ოდენობით შემოდინების შემთხვევაში უარყოფითი რყევები გამორიცხოს.

„სავალუტო ფარის“ მექანიზმი წარმატებით გამოიყენებოდა ჰიპერინფლაციის მოსათოკად იმ ქვეყნებში, სადაც იყო ჰიპერინფლაცია და გამოიყენებოდა აგრეთვე იმ ქვეყნებში, სადაც მთავრობა ეროვნული ბანკისაგან დიდ სესხებს იღებდა („სავალუტო ფარის“ მექანიზმი გამორიცხავს ეროვნული ბანკიდან მთავრობის მიერ სესხის აღებას).

ახლა, მოდით, შევხედოთ ჩვენს რეალობას, რამდენად გვჭირდება და რას მოგვცემს „სავალუტო ფარი“. დავიწყებ იმით, რომ ჩვენთან უკვე მეორე წელიწადია ეროვნული ბანკი მთავრობას სესხს აღარ აძლევს, ანუ ეს პრობლემა ჩვენ გადავწყვიტეთ ყოველგვარი „სავალუტო ფარის“ მექანიზმის გარეშე. ამასთან ერთად, დღეს მართლაც დიდი ოდენობით არის დაგროვილი სავალუტო რეზერვები (ეროვნულ ბანკს აქვს), რაც ასევე ნიშნავს, რომ ეს პირობაც არსებობს იმისათვის, რომ „სავალუტო ფარზე“ გადავიდეთ. მაგრამ თუ შევხედავთ ამ რეზერვების სტრუქტურას, უმთავრესი რეზერვი არის დოლარი; აქედან გამომდინარე, თუკი რომელიმე ვალუტას უნდა მივებათ, ევროს ჩვენ ვერანაირად ვერ მივებებთ, იმიტომ რომ ევროს რეზერვი ქვეყანას მცირე აქვს, ქვეყანა იძულებული გახდება მიებას აშშ დოლარს.

და რაც მთავარია, როგორი გვაქვს ბიუჯეტი?! 2007 წლის ბიუჯეტი დეფიციტური გვაქვს და 2008 წლის ბიუჯეტის პროექტშიც, რომელიც პარლამენტში

შემოიჭანა მთავრობამ, დეფიციტი არის 180 000 000 ლარზე მეტი. რადგან ბიუჯეტი გვაქვს დეფიციტური, აქედან გამომდინარე, მთავრობას არ შესწევს უნარი, რომ „სავალუტო ფარის“ მექანიზმზე გადავიდეს და ინფლაცია არეგულიროს.

კიდევ ერთი, რასაც მინდა მივაქციო ყურადღება. დღეს ქვეყანაში უცხოური ვალუტა ძირითადად შემოდის პრივატიზაციიდან და ინვესტიციების განხორციელებიდან; მაგრამ პრივატიზაციის პროცესი ხომ კლებადი პროცესია, ობიექტები ყოველთვის ხომ ვერ დარჩება გასაყიდი! შეუძლებელია პრივატიზაციის პროცესი მუდმივად ამ მასშტაბებით იყოს. აქედან გამომდინარე, მომავალში აშკარად შემცირდება პრივატიზაციიდან უცხოური ვალუტის შემოსვლა ქვეყანაში და ასეთ ვითარებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ საექსპორტო პოტენციალი იყოს ამოქმედებული. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ საგარეო ვაჭრობაში ძალიან ცუდი მდგომარეობა გვაქვს; რომ ჯერ ერთი, ჩვენთვის რუსეთის ბაზარი დახურულია და გარდა ამისა, ქართული პროდუქცია დიდად არც სხვა ბაზრებზეა გასული. აქედან გამომდინარე, ექსპორტზე, როგორც ვალუტის მიღების წყაროზე სერიოზულად მსჯელობა დღეს შეუძლებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღეს საქართველოში სტაბილური წყარო უცხოური ვალუტის შემოდინებისა არ არსებობს; ეს არის უარყოფითი ფაქტორი იმისთვის, რომ „სავალუტო ფარის“ მექანიზმი ავამოქმედოთ. ამიტომ დღევანდელ ვითარებაში „სავალუტო ფარზე“ გადასვლა გამოიწვევს კიდევ უფრო დიდ ინფლაციას, ვიდრე გვაქვს დღეს და ეს იქნება ქვეყნის ეკონომიკისათვის დამანგრეველი. ასე რომ, დღეს საქართველოში ამ მექანიზმის შემოღება იქნება დიდი შეცდომა.

- თქვენი აზრით, მისი ინიციატორები პრობლემას ვერ აცნობიერებენ?

- ვერ გეტყვით! შეიძლება ვერ აცნობიერებენ; შეიძლება, უბრალოდ, რაღაც თავისი გათვლები და საკუთარი ინტერესი აქვთ. ამასთან დაკავშირებით ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ, იმიტომ რომ ზუსტად ასევე ინგეროდა სხვადასხვა სახელმწიფო სამსახურები და სტრუქტურები; შეგახსენებთ, თავის დროზე დაიშალა ანტიმონოპოლიური სამსახური და აი, ამასწინათ პრეზიდენტი მთავრობის სხდომაზე განცხადებებს აკეთებდა, ქვეყანაში ხელოვნური მონოპოლიები რატომ გვაქვს? ვინ უნდა უთხრას, რატომ გვაქვს?! სახელმწიფო სტრუქტურა – ანტიმონოპოლიური სამსახური უკვე ორი წელია გაუქმებულია. რა, როცა აუქმებდნენ, ვერ აცნობიერებდნენ, თუ რა მოხდებოდა?! რატომ არ ისმება ამ ნაბიჯის ინიციატორის, ბატონი კახა ბენდუქიძის პასუხისმგებლობის საკითხი? ახლა დგას ეროვნული ბანკის გაუქმების საკითხი. ეს მართლ ეროვნული ბანკის

პრობლემა კი არ არის, ეს უმთავრესად ქართული სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენების საკითხია! თავის დროზე ეს იყო ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმება; ეს იყო სურსათის უვნებლობის ინსტიტუტის გაუქმება; ეს არის ეროვნული ბანკის გაუქმების თემა. ასე რომ, ეს ერთი დიდი ჯაჭვის მნიშვნელოვანი რგოლია და მეტი არაფერი!

- ქვეყანაში ეკონომიკის რომელიმე სფერო თუ მუშაობს, ეს საბანკო სექტორია...

- დიას. თუ არ იარსებებს ეროვნული ბანკი და გადავალთ „სავალუტო ფარის“ მექანიზმზე, ბუნებრივია, რომ საბანკო ზედამხედველობაც, რომელსაც ახორციელებს ეროვნული ბანკი, გადავა მთავრობის დაქვემდებარებაში, რაც ძალიან დიდი შეცდომაა. იმიტომ არის შეცდომა, რომ მთავრობა თავისი ბუნებით უმთავრესად არის პოლიტიკური ორგანო; ხოლო ეროვნული ბანკი თავისი ბუნებით უმთავრესად პროფესიული ორგანოა. სწორედ ამიტომ ეროვნულ ბანკს დაცვის უფრო მეტი გარანტია აქვს, ვიდრე მთავრობას. მთავრობას დაცვის არანაირი გარანტიები არ გააჩნია; როდესაც პოლიტიკური სიტუაცია მწვავედება, პრეზიდენტს შეუძლია მთავრობა გადააყენოს; ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობა კი დაცულია 7 წლით და თუ ეროვნული ბანკის წევრმა თვითონ არ დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ, ის არის დაცული. აქედან გამომდინარე, როცა დაბალი პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყანაში საბანკო ზედამხედველობას ეროვნული ბანკი ახორციელებს, ეს უკეთესია, ვიდრე საბანკო ზედამხედველობა განახორციელოს პოლიტიკურმა ორგანომ – მთავრობამ, სადაც მუდმივად იქნება პოლიტიკური დაკვეთები.

- როგორია თქვენი პროგნოზი, ეროვნული ბანკის გაუქმება მართლაც მოხდება?

- მე მგონი, ამის განხორციელება სირთულეებს წააწყდება. კონსტიტუციაც იცავს ეროვნულ ბანკს. „სავალუტო ფარზე“ გადასვლა საჭიროებს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას. ხოლო კონსტიტუციაში ცვლილებები, მოგეხსენებათ, დღევანდელი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, არც ისე ადვილი მისაღები იქნება. აქედან გამომდინარე, თუ კანონის ფარგლებში, კონსტიტუციის ფარგლებში ვიფიქრებთ, დღეს „სავალუტო ფარზე“ გადასვლა ნაკლებსავარაუდოა. თუმცა, მაგანი და მაგანი აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას და ვნახოთ, მომავალში რა იქნება. ხომ იცით, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა! რა ვიცი, შეიძლება კონსტიტუციის გვერდის ავლითაც გააკეთონ რამე. სამწუხაროდ, საქართველოში გამორიცხული არაფერია.

ესაუბრა დალი ჩიკვაძე